

## ვებ გვერდით სარგებლობის წესები და პირობები

უკანასკნელი ცვლილების თარიღი 2021 წლის 1 თებერვალი.

გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ წინამდებარე სარგებლობის წესებს. ქვემოთ მოხსენებული პირობები არეგულირებს თქვენს მიერ აღნიშნული ვებ-გვერდითა და ჩვენი მომსახურებით სარგებლობის წესებს. ჩვენი ვებ-გვერდით სარგებლობისას თქვენ ავტომატურად ადასტურებთ, რომ გაეცანით, გაიგეთ და სრულად ეთანხმებით სარგებლობის ამ წესებს და პირობებს (შემდგომში – სარგებლობის წესები). იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმებით პირობებს, უნდა შეწყვიტოთ ვებ-გვერდითა და პირობებით სარგებლობა.

წინამდებარე ხელშეკრულება იღება ფიზიკურ პირს (შემდგომში „მყიდველი“, „მომხმარებელი“), რომელიც რეგისტრირდება ვებ-გვერდზე littentree.ge (შემდგომში „ვებ-გვერდი“) და შპს „ლითენ თრი“-ს (შემდგომში „შუამავალი/გამყიდველი“) შორის.

### 1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების მნიშვნელობა

- 1.1. საჯარო ოფერტი – შეთავაზება გამყიდველის საქონლის ან მომსახურების შეძენის შესახებ, რომელიც განთავსებულია შუამავლის ვებ-გვერდზე და წარმოადგენს შეთავაზებას ვებ-გვერდის მომხმარებლებისადმი;
- 1.2. აქცეპტი - ხელშეკრულების დადების სრულ და უპირობო თანხმობა. ხელშეკრულების აქცეპტი ნიშნავს, რომ მომხმარებელი/მყიდველი ეთანხმება საჯარო ოფერტის ყველა პირობასა და განსაზღვრებას. აქცეპტად მიიჩნევა რეგისტრაცია ვებ-გვერდზე და გადახდის განხორციელება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
- 1.3. პროდუქტი - ავეჯი ან/და სხვა მსგავსი პროდუქტები ან მათ შესახებ სააქციო შეთავაზებები;
- 1.4. შეკვეთა - მომხმარებლის მიერ პროდუქტის შეკვეთის/გამოწერის/ყიდვის განხორციელება.
- 1.5. პარტნიორი კომპანია - ვებ გვერდზე წარმოდგენილ რიგი დასახელების პროდუქტთა მწარმოებელი ან/და მომწოდებელი იურიდიული პირი.
- 1.6. მომსახურება - ცალკეული პროდუქტების მიწოდება მყიდველის მიერ განსაზღვრულ მისამართზე, მყიდველის შეკვეთისა და შესაბამისი თანხის წინასწარ გადარიცხვის საფუძველზე.

### 2. ხელშეკრულების ძირითადი პირობები:

- 2.1. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, შუამავალი/გამყიდველი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს მყიდველს/მომხმარებელს საკუთარი ან/და პარტნიორი კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქტებით დაკომპლექტებული ბოქსები ან/და ცალკეული პროდუქტია, ხოლო მყიდველი იღებს ვალდებულებას განახორციელოს ანგარიშსწორება წინასწარ, ბოქსის საფასურის სრული ოდენობით; პროდუქციისა და ბოქსების საფასურად განისაზღვრება ხელშეკრულების დადების მომენტისთვის ვებ-გვერდზე განთავსებული ოდენობა;
- 2.2. ხელშეკრულება დადებულად ითვლება მას შემდეგ, რაც მყიდველი დარეგისტრირდება ვებ-გვერდზე და გადაიხდის საფასურს სრული ან ნაწილობრივი ოდენობით, მხარეთა მიერ შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე;

### **3. მხარეთა განცხადებები და გარანტიები:**

**3.1.** ვებ-გვერდზე რეგისტრაციით მყიდველი/მომხმარებელი ადასტურებს, რომ:

- 3.1.1.** ის არის სულ მცირე 18 წლის, ქმედუნარიანი პირი ან ვებ-გვერდს სტუმრობს მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის თანდასწრებითა და თანხმობით;
- 3.1.2.** თანახმაა გამოიყენოს პროდუქცია პირადი, არაკომერციული მიზნებისთვის.
- 3.1.3.** აქცეპტად ითვლება წარმომადგენლის საიტზე შეკვეთის გაგზავნა და მომხმარებლის მიერ მითითებულ ელ. ფოსტაზე შეკვეთის შესაბამისი ინვოისი მიღება.
- 3.1.4.** ხელშეკრულების აქცეპტი ნიშნავს, რომ მომხმარებელი/მყიდველი ეთანხმება შემოთავაზების ყველა პირობასა და განსაზღვრებას;
- 3.1.5.** მომხმარებელი გადაიხდის ვებ-გვერდზე შესრულებული შეკვეთის შესაბამისი პროდუქციის თანხას. თანხის გადახდა შეიძლება განხორციელდეს, როგორც უნაღდო, ასევე ნაღდი ანგარიშსწორებით;
- 3.1.6.** თანხის გადახდის ყველა ხარჯს აანაზღაურებს მყიდველი/მომხმარებელი;
- 3.1.7.** თანახმაა, რომ მისი პირადი მონაცემები, როგორც არის ელ. ფოსტა, პირადი ნომერი, მობილური ტელეფონი, სახელი, გვარი და სხვა, შუამავალმა გაანდოს კომპანიას, რომლის მომსახურებას ან პროდუქციას მომხმარებელი შეუკვეთავს/შეიძენს საიტიდან;
- 3.1.8.** თანახმაა, რომ საიტზე რეგისტრაციის პროცედურის გავლის შემდეგ, მის ელექტრონულ მისამართზე შუამავალის მიერ გაიგზავნოს წერილები და შეტყობინებები, მათ შორის სარეკლამო ხასიათის. ამავდროულად, შუამავალი მომხმარებლის ელექტრონულ მისამართს და სხვა ინფორმაციას მესამე მხარეს არ გადასცემს;
- 3.1.9.** პირად პროფილში ტელეფონის ნომრის მითითებით, მომხმარებელი ავტომატურად ეთანხმება იმას, რომ მიიღოს მოკლე ტექსტური შეტყობინებები, მათ შორის სარეკლამო ხასიათის. ამ ფუნქციის გასაუქმებლად მომხმარებელმა უნდა შეავსოს მოთხოვნა შუამავალი საიტის ადმინისტრაციის სახელზე უკუკავშირის საშუალებით.
- 3.1.10.** თანახმაა, რომ მის მიერ ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში, გამყიდველს მიენიჭოს უფლებამოსილება გააუქმოს მისი კუთვნილი ვებ-გვერდის ერთიანი ანგარიში ან სხვაგვარად შეზღუდოს წვდომა.
- 3.1.11.** თანახმაა გამორიცხოს გამყიდველის პასუხისმგებლობა იმ ზიანზე, რომელიც, შესაძლოა, სერვისებით სარგებლობის დროს კომპიუტერულმა დაინფიცირებამ ან პროგრამული ნაწილის ნებისმიერმა დესტრუქციულმა ელემენტმა გამოიწვიოს;
- 3.1.12.** თანახმაა გამორიცხოს გამყიდველის პასუხისმგებლობა იმ ზიანზე, რომელიც, შესაძლოა, მომსახურების შეფერხებით ან დაგვიანებით მოწოდებამ გამოიწვიოს.
- 3.1.13.** მიაწვდის მხოლოდ სწორ, გადამოწმებულ ინფორმაციას საკუთარ პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით. პერსონალურ ინფორმაციად ითვლება: სახელი, გვარი დაბადების თარიღი, მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, მობილური ტელეფონის ნომერი, პირადი საიდენტიფიკაციო ნომერი, საბანკო რეკვიზიტები, მეურვის სახელი, გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია (იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი არასრულწლოვანია),

### **4. ფორს-მაჟორი**

- 4.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობისას, თუ ეს გამოწვეულია გადაულახავი ძალის შედეგად, კერძოდ წყალდიდობით, მიწისძვრით, ხანძრით, გაფიცვით, სამხედრო მოქმედებით, ბლოკადით, სახელმწიფო ორგანოების აქტებითა და ქმედებებით, სხვა ფორს-მაჟორული გარემოებებით.
- 4.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას მხარეები ვალდებული არიან მიიღონ მათ ხელთ არსებული ყველა ზომა ასეთ გარემოებათა შედეგების აღმოსაფხვრელად და დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინონ მეორე მხარეს ამის შესახებ.
- 4.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას მხარეების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოებების დასრულებამდე ან/და გაგრძელდება იმ ვადით, რა დროითაც გრძელდებოდა ფორს-მაჟორული გარემოებები.

## 5. პერსონალური მონაცემები

- 5.1. გამყიდველი იტოვებს უფლებამოსილებას მოახდინოს მონაცემთა დამუშავება სტატისტიკური ანალიზებისთვის;
- 5.2. პერსონალური მონაცემების გამოყენება შესაძლებელია ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტების გამოვლენისა და ვებ-ადმინისტრირების მიზნებისთვის;
- 5.3. ვებ-გვერდზე მომხმარებელთა სტუმრობისას, სერვერზე ფიქსირდება ვებ-გვერდზე შესვლის თარიღი და მეთოდი, ინტერნეტპროტოკოლის მისამართი, რეფერალი და დათვალიერებული რესურსის მისამართი.

## 6. დავათა გადაწყვეტა

- 6.1. ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი ნებისმიერი დავა რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 6.2. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დამკვეთის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება (მათ შორის გადახდის ბრძანება) უნდა მიეცეს დაუყოვნებლივ აღსრულებას.